Employment Shuttle



არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლება დემოკრატიისათვის“ (EFD) პროფესიული განათლების, პროფ-ორიენტაციისა და სამოქალაქო აქტივიზმის სფეროში პროექტებს 2006 წლიდან ახორციელებს. მათი პროექტი ინოვაციური საგრანტო პროგრამის ფარგლებში დასაქმების მეთოდოლოგიას „Employment Shuttle“ ეფუძნებოდა. აღნიშნული მეთოდოლოგია წარმოადგენს დასაქმების ინოვაციურ სტრატეგიას, რომელიც შეიქმნა ორგანიზაციის „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF) მიერ ესპანეთში და 2016 წელს ადაპტირდა ქართულ კონტექსტთან.

პროექტის ძირითადი იდეა იყო, მხარი დაეჭირა უმუშევარი პირების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციისთვის, დასაქმებისთვის საჭირო უნარები განევითარებინა მათთვის და კარიერული წინსვლისათვის მიეცა გეზი.

დასაქმების პროგრამა ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავდა ჯგუფურ სესიებს, ინდივიდუალურ მენტორობას, დამსაქმებელ კომპანიებთან შუამავლობას. ამ პერიოდის განმავლობაში ბენეფიციარები ჩაუღრმავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ემოციური ინტელექტი, სოციალური უნარ-ჩვევები, თვით-აღქმა, თავდაჯერებულობა, სამუშაოს ძიებისათვის საჭირო უნარები და სხვ.

დასაქმების პროგრამაში მონაწილეობდა 20 ბენეფიციარი, რომელთა უმეტესობა პროექტის დასრულებისთანავე დასაქმდა.